ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3929401

ნომერი: AR1590239

თარიღი : 18.04.2018

გაცემის თარიღი : 25.04.2018

გაცნობის თარიღი : 25.04.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ექვთიმე ხელაძე , N 27;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ სურმავა პ/ნ 01024008761
- საქართველო, ქალაქი თბილისი, იპოლიტე ხვიჩიას ქუჩა, N 5-5ა, ბინა 7ა

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

1. თუ განხორციელებული სამუშაოებით შეიცვალა იპოთეკით დატვირთული ობიექტის ფართი საჭიროა წარმოდგენილ იქნეს იპოთეკარის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული თანხმობა. (განმარტეთ დეტალურად აღნიშნულის თაობაზე)
2. ექსპლუატაციაზე უარის დოკუმენტის რეკვიზიტები -> .უარის ან სამშენებლო დარღვევის ცნობის დოკუმენტის pdf ფაილი: 1-7 ღერძებში მოწყობილი სავენტილაციო ხვრელებით დაირღვევა სამეზობლო მიჯნა, რისთვისაც საჭიროა წარმოადგინოთ შესაბამისი სამეზობლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა, ან მშენებლობა მოიყვანოთ დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაში და აღნიშნულის დამადასტურებლად წარმოადგინოთ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული წერილი; ასევე დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ დამოწმებული 0.00 ნიშნულის გეგმა - გამწვანების ფიქსაციით და ფართის მითითებით, გაითვალისწინეტ, რომ კ3 კოეფიციენტის მინიმალური მაჩვენებელი უნდა იყოს დაცული.

3. შესაბამის ველებში საჭიროა მიუთითოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული აქტის რეკვიზიტები;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას.
საკითხის კვლავ ხარვეზით შემობრუნების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.